წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა

ოქმი N1

ქ. წყალტუბო 31.03.2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები: ზურაბ ჯანელიძე, ლუკა ადეიშვილი, ედიშერ გედენიძე, ლალი გრიგოლავა, მარიამ კუჭავა, მანანა ჩიხლაძე, ლეილა აშორდია, მურად სინაურიძე, მარინა ჭავჭანიძე; ყოფილი წევრები: ინგუშა აბესაძე, რომან კუხალაშვილი, ხათუნა მაღლაკელიძე, დავით მესხი, მურად სინაურიძე, თეონა ქობულაძე; მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი - ვახტანგ ნადარეიშვილი.

დღის წესრიგი:

1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისადმი, მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 2021 წლის 7 დეკემბრის (ოქმი N4) რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

გ.ბალანჩივაძე - წყალტუბოს
მუნიციპალიტეტის მერი

2.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის შესახებ.

გ.ბალანჩივაძე - წყალტუბოს
მუნიციპალიტეტის მერი

3.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის შესახებ.

გ.ბალანჩივაძე - წყალტუბოს
მუნიციპალიტეტის მერი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: მუნიციპალიტეტის მერის ინფორმაცია - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისადმი, მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 2021 წლის 7 დეკემბრის (ოქმი N4) რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ აღინიშნა, რომ სულ წარმოდგენილი იყო 6 რეკომენდაცია, მათგან: 1. მიმდინარე წლის

15 აპრილს გამოვლინდება რკინიგზის სადგურიდან სამუსიკო სკოლის მიმდებარედ, ლიანდაგის გასწვრივ, გზისა და ხიდის რეაბილიტაციისათვის განხორციელებულ ტენდერში გამარჯვებული; 2. განხორციელდა ახალი ნაგავშემკრები ავტომობილის შესყიდვა; 03 მაისამდე მოხდება 222 ცალი სანაგვე ურნის შემოტანა; 3. მიმდინარეობს საკონცერტო დარბაზის ,,ივერიის" კეთილმოსაწყობად საპროექტო წინადადებების დამუშავება; 4. უაპატრონო, აგრესიული ძაღლების აღსაკვეთად ბიუჯეტიდან გამოიყო 50 ათასი ლარი; 5. კურორტის პარკში უკვე ფუნქციონირებს 1 საპირფარეშო, მეორესთან მიმდინარეობს საკომუნიკაციო სამუშაოები, ხოლო მესამე საპირფარეშოს რეაბილიტაცია დაგეგმილია აგვისტოს ბოლომდე; 6. დევნილთა, 9 აპრილის ქუჩის დასახლებაში ღვარსაწინააღმდეგო არხის მოწყობის სამუშაოები გათვალისწინებული იქნება წლის განმავლობაში.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: ლეილა აშორდიამ, მანანა ჩიხლაძემ, ხათუნა მაღლაკელიძემ

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისადმი, მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 2021 წლის 7 დეკემბრის (ოქმი N4) რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ" ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის შესახებ." მერმა სხდომის მონაწილეებს გააცნო საბჭოს შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. მან სხდომის მონაწილეებს წარუდგინა საბჭოს ახალი წევრები: ლუკა ადეიშვილი და მარიამ კუჭავა - მოსახლეობის წარმომადგენლები, ნიკოლოზ გურეშიძე - შპს ,,მინერალის" დირექტორი, თეიმურაზ ფირცხალავა - საქართველოს ქორეოგრაფიული კავშირის წყალტუბოს წარმომადგენლობა, მანანა ჩაკვეტაძე - საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრის „აფხაზეთის" წარმომადგენელი; მანვე საბჭოს ყოფილ წევრებს - ინგუშა აბესაძეს, ლეილა აშორდიას, ანზორ ბაბუნაშვილს, რომან კუხალაშვილს, ხათუნა მაღლაკელიძეს, ჯამბურ შუღლაძეს, ჯეირან ომანაძესა და თეონა ქობულაძეს მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისათვის და მომდევნო ერთი წლის განმავლობაში საბჭოს თავმჯდომარედ ასარჩევად წარმოადგინა ზურაბ ჯანელიძის კანდიდატურა.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: ინგუშა აბესაძემ (ყოფილი თავმჯდომარე), რომელმაც მიმოიხილა განვლილ პერიოდში მრჩეველთა საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობა და საბჭოს წევრებსა და მერიის ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა თანადგომისა და გულისხმიერებისათვის.

თეონა ქობულაძემ, ხათუნა მაღლაკელიძემ და ლეილა აშორდიამ,რომლებმაც საბჭოს ახალ შემადგენლობას წარმატებები უსურვეს.

მანანა ჩიხლაძემ, რომელმაც მოიწონა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურა, აღუთქვა მას თანადგომა და მერს საბჭოს სახელით, წინადადებებით მიმართა ალერგოლოგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან ერთად განიხილოს განსაკუთრებით სოციალურად შეჭირვებული მოქალაქეების შეღავათიან პირობებში მომსახურების საკითხი, რომელსაც კოლეგებთან ერთად პრაქტიკულად თვითონ განახორციელებს.

ლუკა ადეიშვილმა, ხათუნა მაღლაკელიძემ, მურად სინაურიძემ, რომლებმაც მერიის ხელმძღვანელობის ყურადღება მიაპყრეს შესაბამისად კურორტის პარკის სისუფთავისათვის, ყოფილი სავაჭრო ცენტრის ,,მერცხლის" ავარიული შენობისა და ქალაქში ცენტრალური შემოსასვლელის მოსაწესრიგებლად გასატარებელ ღონისძიებებზე.

გენადი ბალანჩივაძემ, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ინფრასტრუქტურის გასაუნჯობესებლად გაწეული მუშაობისა და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

ზურაბ ჯანელიძემ, რომელმაც მადლობა გადაიხადა ნდობისათვის და ყურადღება გაამახვილა იმ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებაზე, რომლებიც საბჭოს წევრებთან ერთად დაეკისრება.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ, კენჭისყრის (საფუძველზე), ერთხმად არჩეულ იქნას ზურაბ ჯანელიძე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის შესახებ

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: ლალი გრიგოლავამ, მანანა ჩიხლაძემ

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: წყალუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნად არჩეულ იქნას მარინა ჭავჭანიძე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჯანელიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
მრჩეველთა საბჭოს მდივანი მ. ჭავჭანიძე